

## ჩვენს სპორტულ საყვაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

განვიხილოთ დღევანდელი კვლევა მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ჩვენი სპორტსმენები. სამწუხაროდ, ფეხბურთელთა ორივე ეროვნულმა ნაკრებმა ისევე გაგვიცრუა იმედი. სამაგიეროდ, ვაჟი კალათბურთელეების ეროვნული ნაკრების გამარჯვებამ ოდნავ გაგვიქარვა ნაღველი.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის უმთავრეს პრობლემად რჩება თანხების საკითხი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის ნაკრები გუნდების და ცალკეული სპორტსმენების დასაფინანსებლად. სამწუხაროა, რომ ორგანიზაციული აქტიურობა კვლავ აწყდება ფინანსურ დაბრკოლებებს. ადგილებზეც ყველგან გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება. გორის საცურაო აუზი გამართულად ამუშავდა და ახლა იქ „ღია სტარტებიც“ ეწყობა, თბილისიდანაც ჩაჰყავს ჩვენს ფედერაციას ნორჩი მოცურავეები გორში სასაპარეზოდ.


კვირას, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ბეჭდვითი მედიის პირველი ფესტივალის 16 ნომინაციაში გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა სპორტული პრესის წარმომადგენელთა აღიარება.

საუკეთესო ფოტორეპორტაჟისთვის დაჯილდოვდა ავთანდილ გურასაშვილი. საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად აღიარებულია მერაბ მეტრეველი („სარბიელი“), საუკეთესო სპორტული გამოცემა გაზეთი „სარბიელი“, საუკეთესო ჟურნალად „ოლიმპიელი“ — ჯილდო ჩაიბარა ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარემ ემზარ ზენაიშვილმა, საუკეთესო რეპორტაჟშიც სპორტულმა თემამ გაიმარჯვა — სიდნეის ოლიმპიადიდან რეპორტაჟებისთვის დაჯილდოვდა პაატა ნაცვლიშვილი. სხვა ლაურეატების ადრინდელი მოღვაწეობაც დაკავშირებული იყო სპორტულ პრესასთან. ზოგიერთმა პირველი ჟურნალისტური ნაბიჯები „ლელოში“ გადადგა, რამდენიმე მათგანი კი წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენს გაზეთში.

XX საუკუნის საუკეთესო სპორტული გაზეთი „ლელო“ უღოცავს ყველა გამარჯვებულ კოლეგას დიდ აღიარებას! ერთგვარი ბედნიერი დამთხვევაა, დღეს „ლელოს“ 11.500-ე ნომერი გამოვიდა!

## საქართველო — ბულგარეთი — 91:75

სპორტის სათამაშო სახეობებში, რომ კარგად არ გვაქვს საქმე, ყველა ჩინებულად იცის. მას შემდეგ, რაც მორაგბებმა გვასახლეს, იმედი ჩაგვესხა, რომ ნაესი ბოლოს და ბოლოს გატყდებოდა. ახლა მეორე იმედი გაჩნდა. არა, ჯერ



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

მორაგბეთა სადარ წარმატებაზე არ ვლაპარაკობთ, მაგრამ მომავალში შეიძლება ნამდვილად ავლაპარაკეთ. ამის თქმის საფუძველს, ამთავითვე, ცხადია, არა შედეგი, არამედ ჩვენ ვაქ კალათბურთელთა ის პოტენციური შესაძლებლობები გვაძლევს, რომელიც მათ გასულ კვირა სათამაშო გამოვლინეს ბულგარელებთან შეხვედრაში 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში.

ლეგიონერების სიმრავლე, რომ თავისთავად ბევრ არაფერს ნიშნავს, ფეხბურთელთანავე ვიცით. კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებში ამჯერად მოწვეული იყო 5 ლეგიონერი და, ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მათ თავდადების ნამდვილი მაგალითი გვიჩვენეს. უპირველესად, ეს საბოლოო შედეგში აისახა. 16 ქულით მატჩის ბულგარეთთან ადვილი მისაღწევი სულაც არ იყო.

ამ ორი გუნდის გარდა, ჯგუფში წარმატებით იბრძვიან ზურბაძე, სის ნაკრებები. შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გადის. ქართველებმა პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგეს მიზინსკენ და იმედია, რომ ზურაბ ტომარაძის შეგირდები საბოლოოდ სასურველ შედეგს მიადწევენ. თბილისში პირველი გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რომ ოთხი წელიწადია, ჩვენებს შინ ასეთი ღონის მატჩი არ მოუვიათ.

6 ივნისს საქართველოს ნაკრები ბელარუსებს უმასპინძლებენ. სხვათა შორის, ამ ოთხი წლის წინათ, ბოლო გამარჯვება შინ სწორედ ზვალინდელ მეტოქესთან მოვიპოვეთ.


საქართველოს ღრეგანდელი ნაკრების დარი შემადგენლობა ჯერ არ გვცოლია — ამას თავად სპეციალისტები აღიარებენ. ნაკრებში მოწვეული ათივე კალათბურთელის შესაძლებლობები აშკარად მაღალია. თბილისში გამართულ პირველ მატჩში კი განსაკუთრებით თავი გამოიჩინა დებიუტანტმა, თურქეთში მოთამაშე ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც თავისიანებს 26 ქულა შესძინა.

დღეს, 5 ივნისს,  
 12 საათზე ვაქ  
 კალათბურთელთა  
 ეროვნული ნაკრების  
 ოფისში (სპორტის  
 სასახლე) გაიმართება  
 ნაკრების ხელშეკრულება  
 პრესკონფერენცია



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## საქართველოში მუშაობის შესახებ



ისრაელში ამ დღეებში განხორციელებულმა ტერაქტმა მსოფლიოს სპორტული სამყაროც შეშინა. ისრაელში მყოფმა სოკის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩამ განაცხადა, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა უნდა მიიღონ შეთანხმების მშვიდობის დასაფრთხილებლად სხვადასხვა თელ-ავივი ვერ წამოაყენებს თავის კანდიდატურას 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად — განაცხადა სამარანჩმა.

ამასთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართა ისრაელის მთავრობას ყველაფერი იღონონ საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელიც ოთხშაბათს ისრაელის ნაკრებს ხვდება თელ-ავივში.

## კონფედერაციის თასზე



იპპონია — ბრაზილია

თურქეთის პრესა შეუპოვრად განიხილავს ამ ქვეყნიდან „გალათასა-რაის“ ბრაზილიელი მეკარის ტაფარელის შესაძლო ნასვლას. გაზეთ „ფოტომასის“ აზრით, ტაფარელის ყველაზე რეალურ შემცველად მიიჩნევენ რუმინეთის ნაკრების გოლკიპერს ბოგდან სტელიას.

თურქეთის პრესა შეუპოვრად განიხილავს ამ ქვეყნიდან „გალათასა-რაის“ ბრაზილიელი მეკარის ტაფარელის შესაძლო ნასვლას. გაზეთ „ფოტომასის“ აზრით, ტაფარელის ყველაზე რეალურ შემცველად მიიჩნევენ რუმინეთის ნაკრების გოლკიპერს ბოგდან სტელიას.



ტაფარელი



7 ივნისს ბუდაპეშტში უნგრეთი — საბურთალოს

რას ნაკრებებთან „ღილი გუნდის“ შეხვედრა? 6 ივნისს ბუდაპეშტში უნგრეთი — საბურთალოს

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:




ზინედინ ზიდანმა თავისუფალი დრო გამოიყენა და ტურინიდან მეულესთან ერთად პარიზში ჩაფრინდა ჩოგბურთელთა ასპარეზობაში მონაწილე თანამემამულეთა მხარდასაჭერად. ფოტორეპორტაჟების ობიექტებს, ცხადია, ეს ცნობილი ფეხბურთელი ვერც აქ დაეშალა.

ეს ტრაგიკული შემთხვევა მოხდა გუშინ. 17 წლის ჩრდილო ამერიკელი საუკეთესო მოთხილამურე ველოსიპედით ჩქაროსნულ ტრასაზე მოძრაობისას ტრაქტორს შეეჯახა.

## საღვთისმშობლის დღის აღიარება

აპელდორენში (პოლანდია) დასრულდა ევროპის ჩემპიონატის საღვთისმშობლის ზემარათონში. გუნდურ ჩათვლაში, სადაც 3 საუკეთესო მარათონელის შედეგი ჩამდებოდა, წარმატება წილად ზვალარუსეთის ნაკრებს (730 კმ და 209 მ). პირადი პირველობაც რუსეთელმა ევენი ანისიმოვმა მოიგო. 24 საათში მან 248 კმ. და 662 მ. გაიბრინა.

გუშინ. „ჩირო დ'იტალიას“ მრავალდღიანი ველოტურის ეტაპი მოიგო იტალიელმა ივან კვარანტამ, მეორე იყო ენდრიო ლეონი, მესამე — მარიო ჩიბოლინი (ორივე გამარჯვებულის თანაგუნდელია). ლიდერის მისიური კი კვლავ ასევე იტალიელმა ჯოზეპე სიმონიმ შეინარჩუნა, დარბაზი ფრანგ მეორეა და თანამემამულეს 0,15 წამით ჩამორჩება. (იხ. მ-7 გვ.)



სამთრის XIX ოლიმპიური თამაშებს 8 თვე და 3 დღე გვაშორებს

მოგაპალ ოლიმპიური თამაშებზე 3 წელიწადი და 2 თვე ღარკა


ნობელის პრემია - აფრიკული ზონის ქალთა ტენისი

II-დან I ლიგაში

ჩოგბურთელთა ევრო-აფრიკული ზონის ტურნირი საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშების შემადგენელი ნაწილია და ლიგებდ ტარდება.

ზერეკიდის ხელმძღვანელობით, მათ მთავარი ამოცანა შეარჩულეს - I ლიგაში გადასვლის უფლება მოიპოვეს.

ევროპაში პირველი იყო ამ ასაკში ახლა თავისუფლად უფროსებსა უნდასა საერთაშორისო შეჯიბრებებში.



ნათია სხიტაძე

ჯორჯ ბუშმა დაამატა 60 მილიონი მოიხსნა

2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტიში, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და ეს გასაგებია.

სამხარის მხარდაჭერა ქართველ ვეფხველ ოლიმპიელს

საქართველო სამართლიანად ამოყობს ვეტერან ოლიმპიელთა მიღწევებით. მათი სახელები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მსოფლიო სპორტის ისტორიაში.

ქართველ ოლიმპიელთა ინიციატივას საუკეთესო სურვილებით გამოეხმაურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

ვეტერანი ოლიმპიელებსათვის - აღწერა ლეგენდარული მთავარი, რომელთა მიღწევებითაა მარად იამაყებს ქართული სპორტი.

დაჯილდოება

სამართლებელს პრეზიდენტის ბანაბრებში

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, მალაიკის სპორტსმენთა მოზარდებსა და ახალგაზრდათა თათბირის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის.

ირაკლი ბაქრაძე - საქართველოს კალთბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის კაპიტანი, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელია თასის მფლობელი.

ფასები - ხელმისაწვდომი, უძველესი - ეფექტური

ნუ გაეოიკლებით ღირ ფულს, იოვხავით ისა, როგორს „რიო“ გუგაოვს და კითხვას საქმეებთან ერთად თავსაც გაღიარებთ


თანამედროვე ხუთჯიდი ჩვენში არც „საბჭოთა სპორტის დიდ ეპოქაში“ ყოფილა მასობრივი თავისი განსაკუთრებული მხარე.

სპორტკლუბი „რიო“ გაიხსნა 1995 წელს, თბილისში, ცნობილი „მიონის“ ქარხნის საცურაო აუზის ბაზაზე.



ამოგნებაა. სწორედ ასეთმა მიდგომამ, ანუ მომეცადინეთათვის საფასურის მინიმუმამდე დაყვანამ შეაყვარა ეს კლუბი ბავშვებს და მათ მშობლებს.

სამართლებელს პრეზიდენტის ბანაბრებში



ირაკლი ქორჩილაძე

ნებლადაც მიჰყავთ სპორტულ გამაჯანსაღებელ ბანაკებში. წლებულს ბანაკში 100 მოზარდი დაისვენებს.


კლუბის თანამედროვე ხუთჯიდელებმა მოწვევით მიიღეს ევროპის ჯაბუკთა პირველობის ორგანიზატორებისგან.

ხსოვნის ტურნირი

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სპორტკლუბის (დირექტორი - როინ დობორჯგინიძე) დარბაზში ჩატარდა პროფკავშირების ჭიდაობის პირველი ოლიმპიური რეზერვების სპორტკლუბის დირექტორის, წარსულში სახელფარი მოქიდავის, სპორტულ და მასხარებელი მუშაკის - ელგუზა თვალჭრემიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1986-88 წლებში დაბადებულ მჭიდრეთა შორის.

ბაბაცნობთ ბამარჯმეზულეებს და პრიზიორებს: 38 კგ: 1. ნუგზარ ქიტიაშვილი (რუსთავი), 2. გიორგი ასანიძე, 3. ლევან კირკიტაძე (ორივე - „შევარდენი“); 42 კგ: 1. იაგო ხაჩიძე, 2. არჩილ ბერიანიძე (ორივე - „ლილო“), 3. სერგო არუთინიანი („შევარდენი“); 46 კგ: 1. მერაბ მერაბიშვილი, 2. გელა ბერიძე, 3. რაფაელ კახარაძის (სამივე - „შევარდენი“); 50 კგ: 1. დიმიტრი ხაჩიძე, 2. პაატა გოგრიძიანი (ორივე - „ლილო“), 3. ნოდარ თედვიშვილი („შევარდენი“); 54 კგ: 1. ილია გულბათაშვილი, 2. ვასილ ომანიძე, 3. გიორგი მწყერაშვილი (სამივე - „შევარდენი“); 58 კგ: 1. ენრიკო აზირაშვილი, 2. ლერი აფხაზაშვილი (ორივე - „შევარდენი“); 3. არჩილ ძიგურაშვილი (ორს); 63 კგ: 1. გიორგი ხუტუა (ორს), 2. შოთა ბგიაშვილი, 3. აკაკი სონდულაშვილი (ორივე - „შევარდენი“); 69 კგ: 1. ლაზარე მარსაგიშვილი, 2. დავით ქორჩილაძე (ორივე - „შევარდენი“), 3. ომარ შარიქაძე (ორს); 76 კგ: ვანო გოლოძე (ორს), 2. გიორგი ნეფარიძე (შევარდენი); 85 კგ: 1. აბელ ჩოიკვი („ლილო“), 2. გიორგი ჩოხელი („შევარდენი“). მძიმე: 1. ზვიად კიკოლაშვილი, 2. ოთარ ბოლჯაძე (ორივე - „შევარდენი“). შეჯიბრების მთავარი მსჯი იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი, გურამ გულადაშვილი. ტურნირის ესწრებოდნენ ჭიდაობის ფედერაციისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ხელმძღვანელები.

თ. თოგაშვილი



### საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



ნზე მანამდე არასდროს ვმჯდარვარ".

არც ცურვა უსწავლელია ვინმეს, მაგრამ წყალსაც არ შეეუბა. ოღონდ ეგ იყო, ახტალის საგუნდებში ჩაბტებოდა ხოლმე და ტალახით დამძიმებულ წყალში, მთლად განწირული რომ ყოფილიყო ადამიანი, ვერ ჩაიძირებოდა. სამაგიეროდ, ცურვის შესასწავლად ასეთი წყალი ძალიან ხელსაყრელი იყო.

\*\*\*

ფიზკულტურის მასწავლებელს შალვა ბოსტაშვილს, იმ ხანებში, გურჯაანში ტანვარჯიშის პირველი სექციის ჩამოყალიბების აზრი აეკვირბოდა. რაიონის ხელმძღვანელებსაც სთხოვა შემწეობა და თბილისშიც ჩავიდა ტანვარჯიშის ინვენტარის სათხოვნელად. ზემო გურჯაანში ძველი, უმოქმედო

### მზია ჯულელიდან - უსასრულოდისაკენ

გურჯაანში სწავლისას, მზია ერთადერთი გოგო იყო, რომელიც ბიჭებთან ლახტსაც კი თამაშობდა გაკვეთილებს შორის შესვენებაზე თუ სხვა თავისუფალ დროს. „ქაჯი ვიყავი მოქნილ ქამარს სხარტად ვიცდენდი, საოცრად მაღლა ვხტებოდი ადგილიდან, მერე მივხვდი, რომ ეს ბავშური გატაცება ძალიან დამეხმარა ფეხის კუნთების გამაგრებაში, რაც ესლოდენ საჭიროა ტანვარჯიშში, განსაკუთრებით ვარჯიშთა დამამთავრებელ ფაზაში, - დახტომისას“.

მაგრამ, ლახტის გარდა, სხეულის მოქნილობაში, ზამბარისებური ხტომის გამომუშავებაში მზიას ხელი შეუწყო აგრეთვე „ვაჟურმა“. ეს თამაშობა მხრებზე ხელის დარტყმით და თავზე გადახტომით სრულდებოდა. მზია, რაც შეიძლება მაღალ ბავშვებს არჩევდა, ყველას აოცებდა მაღალი არეკნით და მოქნილობით. მერე, უკვე ტაიჭზე იგივე ვარჯიშის შესრულება მისთვის ალანაირად სირთულეს არ წარმოადგენდა.

\*\*\*

ჯულელების ოჯახი გურჯაანში კომინტერნის ქუჩაზე, რკინიგზის ბინაში ცხოვრობდა, პოლიკლინიკასთან ახლოს, სადაც მზიას მშობლები მუშაობდნენ. მერე მინის ნაკვეთი გამოყვეს და მზიას მამამ ნიკოლოზ ჯულელმა პატარა სახლი ჩააგდო 3 ოთახით და მატერლისთვის სტომატოლოგიური კაბინეტით.

\*\*\*

ერთ დღეს ვეჯინელი კაცი მიადგა ჯულელების ეზოს, სტუმარმა ცხენის აღვირი ღობის სარზე მიაბა და ეზოში შევიდა. ვიდრე ეს კაცი ექიმებს თავის გაჭირვებას უყვებოდა, მზია ცხენს მოახტა, აღვირი აიკრიბა და გაქუსლა. ამ ამბის მხილველ მეზობელ სონია დარაბეგოვას თურმე გული შეუღონდა, ყველა შარავნაზე გამოუფინა. ალქაჯი გოგონა მხოლოდ მაშინ მობრუნდა უკან, გული რომ იჯერა ცხენის ჭენებით. „ახლაც თვალწინ მიდგას ცხენის პატრონის შემოღობილი სახე, ადამიანის ფერი აღარ ედო. ცხენი თავდა ჩამომარავა, ჩემთვის არაფერი უთქვამს, თავის ღურჯას ჩახეხტა და, ვინ იცის, იქნებ თავის გონიერ ოთხფეხა მეგობარს ყურში მადლობის სიტყვებიც ჩასჩურჩულა, რომ ხიფათი ამაცილა. არადა, ცხენ“

### პაუზსებათ!

„ლელოს“ წინა ნომერში წერილში „ნახევარი საუკუნის გადასახედიდან“ მეორე სვეტის პირველი შეკითხვის პასუხის დასაწყისში უნდა იკითხებოდეს „სამი“, მეოთხე სვეტის პირველი შეკითხვის პასუხის პირველი სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს: „პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელო საქმიონი ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერი, საქმიონი ფიზკულტურის №1 დისპანსერი, აგრეთვე №2 დისპანსერი“. ამჯერ ბზაცის ბოლოს სიტყვა „დღეს“ - ზღმეტია.

თენგიზ ბაჩიჩილაძე

გაგრძელება

დასაწყისი იხ. „ლელო“ №40, 41

### ჭიდაობა მასხათში

### ახალციხე-ფოცხოვ-არდაბანი



ფოცხოვ-არდაბანი ბერის მთქმელია ქართველებისთვის. დღეს თურქეთის ამ რეგიონის სპორტსმენები, კერძოდ, მოქიდავები ახალციხელ თანატოლ ქაბუკებთან მეგობრობენ. ამას წინათ, ახალციხეში თავისუფალ ქიდაობაშიც მათი ამხანაგური შეჯიბრება გაიმართა ოთხ წლით კატეგორიაში. ახალციხის გამგებელმა რეზო გიქოშვილმა და თსუს ახალციხის ფილიალის რექტორმა მერაბ ბერაძემ, სამცხე-ჯავახეთის წითელი ჭვრის ორგანიზაციის თავმჯდომარემ კობა კაკაიშვილმა, რაიონის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარემ ზურაბ ხუციშვილმა და ქ-

ლაქის მერმა შოთა ნასყიდაშვილმა, ამჯერადაც, ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმოუჩინეს ორგანიზატორებს.

ახალციხელებიდან პირველი ადგილები დაიკავეს დათო ლომიძემ (36 კგ), მამუკა კურტანიძემ (39), გიორგი გოგიშვილმა (47) და პეტრე ნადირაძემ (54). მეორე ადგილები წონების მიხედვით, შესაბამისად, დაიკავეს სტუმრებმა - ალემ ლიქიძემ, ვენდარ ჰაქიძემ, ეიუ აიღინმა და ერპან ჩეთინმა.

შეხვედრის ორგანიზატორი იყო სამცხე-ჯავახეთის ქიდაობის ფედერაცია (ზაზა ჩილინგარაშვილი).

### ახალციხის ღია პირველობაში კი ასამდე ჭაბუკმა იასპარეზა

მასპინძელთა გარდა, იასპარეზეს თბილისის, გარდაბნის, ადიგენის და ასპინძის თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქაბუკებმა. სამხარეო ჭიდაობის ფედერაციას აქაც დიდი დახმარება გაუწიეს იგივე ორგანიზაციებმა და მათმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც ახალციხე-თურქეთის წარმომადგენელთა ამხანაგურ ბათონებთან ხელშეწყობითა შორის მოვიხსენიეთ, დაგამატებთ, რომ მათ გარდა თავისი სიტყვა თქვა შემწეობაში ბიზნესმენმა ავთანდილ თათეშვილმა. გაჯანცობთ გამარჯვებულებს: ვალიკო კაკაიშვილი (23 კგ, ახალციხე), ალექსი ჭაჭვაძე (26, გარდაბანი), დათო თათეშვილი (29), კახა კუსიანი (32), მამუკა ბათონიანი (35, სამეგრე - არალი), ავთანდილ მეტრეველი (38, თბილისი), მამუკა კურტანიძე (42, ახალციხე), გოჩა ლომთათიძე (46, თბილისი), გიორგი გოგიშვილი (50), ალექსი ჩეტკურიშვილი (54), გიორგი ბაღდოშვილი (58), ბექა ჭინიუაშვილი (63, ყველა - ახალციხე), დათო კორკოტაშვილი (69, კასპი), ვიქტორ გოგორიშვილი (76), გიორგი ჭიშვილი (85, ორივე - თბილისი).

### შუა ქართლში

ახალგაზრდა პოეტის რატი (ტატო) ნინუას ტრაგიკულად დაღუპვიდან ერთი წლისთავზე რუსიელებმა (იქ, პაპამისთან იზრდებოდა რატი) პატივი მიაცხეს მის წსოვნას, ჩამოაყალიბეს ახალგაზრდა შემოქმედთა კულტურული ცენტრი „მოყმე“. ხელშეწყობა, სპორტი, მეცნიერება და ლიტერატურა - ასეთია „მოყმის“ ძირითადი მიზანი. რუსიელებმა „მოყმის“ საპატიო წევრებად მოიწვიეს ცნობილი ფალაგნი ვანტანა ბალაგაძე, დავით ციმაკურიძე, სიმონ მაისურაძე, მოჭადრაკე ქალთაგან მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. 16 მაისს თბილისელმა სტუმრებმა, რუსიელებმა და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდობამ თავი მოიყარა რუსის

საშუალო სკოლის ეზოში. დათვალით ეიუს „მოყმისადმი“ განკუთვნილი კუთხე, რომელიც ადგილობრივმა ხელი-სუფლებმა გამოუყო შემოსხნებულ კულტურულ ცენტრს. ნაწერებით მოყრილ მოედანზე გაიმართა შეჯიბრება ქიდაობაში, სახელგანთავს მსცხვანის ფალაგნი არწევბივით დასცქეროდნენ უღვაწაშამოდინდულ ბიჭებს. თბილისიელებმა და რუსიელებმა რატი ნინუას ლექსები წაიკითხეს, ზოგმა საკუთარი შემოქმედება წარმოადგინა. თბილისის ფოლკლორულმა ანსამბლმა „თბილისმა“ დაამშვენა ეს დღესასწაული. ზეიმი ახალგაზრდა მომღერლების მრავალგამიერთ დასრულდა. დიდება შენ, უჭკნობო და უკვდავო, სიცოცხლის ყვავილო და მშვიდობის დგრიტავ. ცნობრება გრძელდება.

ნოდარ ხმამაძე, „ლიტერატურული საქართველო“ 1-7 ივნისი, 2001 წ.

### რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი ძველი ავტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ ციბაძე, საქართველოში ტურისტული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია. თითქმის ნახევარი საუკუნეა იგი უძღვებოდა ტურიზმის თეორიულ კვლევებს სხვადასხვა ევროპულ და გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში. გამოცემული აქვს მრავალი წიგნი და ბროშურა ტურიზმის განვითარების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე. მის ტურისტულ ჯგუფზე, რომელიც მოქმედებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ბევრი თქმულა და დაწერილია. ახლა, როცა ტურისტული სეზონი ძალას იკრებს, ჩვენს მკითხველებს, „ლელოს“ შემდეგი ნომრიდან ვთავაზობთ მის მიერ ტურისტულ თემაზე შექმნილ მხატვრულ-დოკუმენტურ მინიატურებს, რომლებშიც ამ ლეგენდარულ ტურისტული ჯგუფის მოღვაწეობის საინტერესო და საკულისხმო მომენტებია გადმოცემული.

### ფეხბურთი

Table with match results: ლოკომოტივი - შევარდნი 1-0, ავაზა - ხალიბი 1-1, შევარდნი 06 - ლაზიკა 0-4, ვაკე - ტონთიო 2-0, კახეთი - მთვარის გლობუსი 0-2, დინამო - კოლხეთი 1-0

Table with player statistics: დინამო (ბთ) 9 6 2 1 11-8 20, ვაკე91 (თბ) 10 6 0 4 15-14 18, შევარდნი.1906(თბ) 10 5 3 2 25-12 18, ლოკომოტი(სამტრ) 10 5 3 2 11-11 18, ხალიბი (რუსთავი)9 5 2 2 17-17 17, შევარდნი (ქუთ) 10 4 3 3 10-9 15, მთვარ. გლობ. (თბ) 10 4 2 4 14-10 14, კოლხეთი (ფოთი) 10 4 2 4 12-11 14, ავაზა (თბ) 10 3 3 4 12-11 12, კოლხეთი (თელავი) 10 3 1 6 9-18 10, ტონთიო (გორი) 10 2 0 8 15-22 6, ლაზიკა (ზუგდი) 10 1 1 8 11-29 4

### ბავშვთა ფეხბურთი. სპორტული ჩემპიონი

Table with children's football statistics: ლაზიკა ზუგდ. 14 11 1 2 39-11 34, კოლხეთი ფთ. 14 11 0 3 47-19 33, ჭიხა წალენჯ. 14 8 3 3 29-16 27, ოლიში ზუგდ. 14 6 3 5 23-26 21, კოლხ-2 ფთ. 14 5 3 6 13-17 18, ოლიშიპია ხობი 14 3 4 7 14-21 13, ეგრისი სენაკი 14 3 3 8 12-26 12, ფაზისი ფოთი 14 0 1 3 8-49 1

### ფეხბურთის თასი

Table with football cup statistics: იმედი ლესიკ. 12 8 3 1 31-10 27, კოლხ-2 ფთ. 12 8 1 3 24-10 25, მაგუ ზუგდ. 12 7 1 4 31-13 22, კოლხეთი ფთ. 12 6 1 5 21-19 19, ჭიხა წალენჯ. 12 4 2 6 15-29 14, ენგურთა ჭვარი 12 3 3 6 16-27 12, შევარდ. სენაკი 12 0 1 11 7-37 1

### თ. გიორგაძის თასი

Table with T. Giorgadze Cup statistics: ოლიში ზუგდ. 12 10 2 0 28-7 32, ფაზისი ფთ. 12 8 1 2 34-20 25, ოლიშიპია ზუგდ. 12 8 0 4 24-15 24, ოლიშიპია ხობი 12 7 1 4 23-18 22, ეგრისი სენაკი 12 3 1 8 15-28 10, ენგურთა ჭვარი 12 2 0 10 9-34 6, კოლხეთი ფთ. 12 0 1 11 7-29 1, გათამაშებების დებულების თანახმად, საქართველოს დასავლეთი ფინალურ გათამაშებებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მ. მესხის თასის გათამაშებაში ზუგდიდის „ლაზიკამ“ (მწვრთნელი გერონტი ნაჭყებია) და ფოთის „კოლხეთმა“ (მწვრთნელი ზვიად ნოდარია); ს. მეტრეველის თასის გათამაშებაში ჩხოროწყუს რ-ის ლესიკინის „იმედი“ (მწვრთნელი ვალერი სიქინავა, კახაბერ ხარბაჯავა); ფოთის „კოლხეთი-2“-ის გუნდმა (მწვრთნელი ბორის და ნუგზარ ცაავა); თ. გიორგაძის თასის გათამაშებიდან ზუგდიდის „ოლიშის“ გუნდმა (მწვრთნელი ოთარ თუთბერიძე, ოთარ ძალამიძე).



ეს რეალობა, მაგრა, მნარე...

როგორ ვითარდება უნდა იყოს, ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებში, გუნდში...

ემროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 1 ივნისი. 10.000 მაყურებელი

საქართველო - იტალია 0-2 (ახალგაზრდული ნაკრები) საძარტველი: ხმელიძე, საჯაია, ხიზანიშვილი...

77, კოლუჩი, (ვიკარი 55), მაქარონე, ბრიგი, იაკუინტა. გოლები: 0-1 კორენტი (32), 0-2 მაქარონე (41).

გააფრთხილებ: დიდმელაშვილი, მარჩიანი, კოლუჩი, საჯაია, კორენტი, იაკუინტა.

შაჯი: პ. კოშტა (პორტუგალია) ახალგაზრდული ნაკრებისგან სასწაულს არავინ ელოდა. გუნდში ტრავმირებული არავინ იყო...

ერთი ხელის დაკრით არ გამოსწორდება. ესაა მოსპარეუთა შორის კლასში სხვაობა.

თანაბარი თამაში მხოლოდ ნახევარი საათით გაგრძელდა. ქართველთა ნახევარდაცვა თანდათან ვეღარ უძლებდა სტუმართა დინჯ, მაგრამ უაღრესად სახიფათო კონტრიერიუმებს, რომელთა ლოგიკური შედეგი, კორენტისა და მაქარონეს დახვეწილი კომბინაციების შემდეგ გატანილი გოლები იყო.

ახსილიტა. მატჩის კოორდინატორები ტემპში იმატა, ინტენსივობა უკმაშინძლები ფლობდნენ, მაგრამ მათ თამაშს საშემსრულებლო ოსტატობის ნაკლებობის კვალი ეტყობოდა...

VIII ჯგუფი

Table with 4 columns: საქართველო, რუმინეთი, უნგრეთი, ლიტვა, საქართველო. Rows for Italy 0-2, Romania 1-0, Hungary 6-5, 1-0, 11-3, 16, 5-3, 1-1, 8-2, 10, 4-2, 0-2, 5-5, 6, 5-1, 0-4, 3-10, 3, 4-0, 0-4, 3-10, 0.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი



2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 2 ივნისი. 30 000 მაყურებელი.

საქართველო - იტალია 1-2

(ეროვნული ნაკრები) საძარტველი: ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი...

იტალია: ბუფონი, პანკარო, მალდინი, ტაკინარდი, კანავარო, ნესტა (მატერაცი 78), ჰამბროტა, ტომაზი, დელვეკიო (მონტელა 78), ტოტი, დელპიერო (დი ლივიო 57).

გოლები: 0-1 დელ ვეკიო (45), 0-2 ტოტი (67), 1-2 გაბოკიძე (80)

გააფრთხილებ: გაბოკიძე (81); ტაკინარდი (50);

შაჯი: ი. გონსალესი (ესპანეთი)

ეროვნულ ნაკრებში მატჩი წინა დღით ოლიმპიელთა შეხვედრის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. თითქოს ერთი ფილმის მეორე სერია ყოფილიყო. მასპინძელთა გადაულახავი პრობლემა, მეტოქის მორიდება თუ შიში, მუდმივი და უტყუარო თავისმართლება, საპირისპირო მხარეს კი სილაღე, რწმენა, მოგებაზე ფიქრი და კლასი.

მწელია და შეუძლებელიც გამართულ და აწყობილ შეხვედრას, რაიმე დაუპირისპირო, როცა ერთმანეთის პირისპირ დგას ხელოსანი და დილოსტატი, როდესაც ერთი სულ ტირის, მეორე კი სულ ილიმის, იმიტომ, რომ იცის ძლიერია და ნებისმიერ ვითარებაში დაამარცხებს მეტოქეს. ერთმა იცის, რომ რაც უნდა, მოიმოქმედოს მანც დაამარცხდება, მეორემ კი იცის, რომ აუცი-

ლებლად მიადევს წარმატებას. შაბათ ღამეს ეროვნულ სტადიონზე ქართველთა წინასწარ განწირული გავიდა მინდორზე, თუმცა წინააღმდეგობის გაწევას მანც ცდილობდა. სტუმრებმა, როგორც ჯგუფის ლიდერს შეპყრის, მასპინძლებს გამართული თამაში და მინიმალური შესაძლებელიდან მაქსიმალურის მიღების ცოდნა დაუპირისპირეს. მასპინძლებმა - სტუმრებს შემართება და ბრძოლის უნარი, მაგრამ ბოლომდე მანც ვერ გაძლეს. იტალიამ საქართველო ისევ დაამარცხა. საოცნებო ფრესაც ვერ მივალწვიეთ. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია. ისევ მარცხი, ისევ იმედგაცრუება, რომელსაც ჩვენსა საგანგაშოდ ბოლო არ უჩანს. შანსი მომავლის პერსპექტივისა შესარჩევ ჯგუფში თვალსა და ხელს შუა გვადნება. ხვალ კი უნგრელებს ვეთამაშე-



ელდარ მალბაზი შეილის ფორმ

ბით, რომელთაც ჩვენსავით უჭირთ, მაგრამ უნგრელები ქართველებისთვის ყოველთვის საკულუბო დონეზე უხერხული მეტოქეები იყვნენ. ახლა კი, ისინი ეროვნულ ნაკრებების დონეზე პირველად შეერკინებიან ერთმანეთს.

VIII ჯგუფი

Table with 4 columns: საქართველო, რუმინეთი, უნგრეთი, ლიტვა. Rows for Romania 1-2, Hungary 6-5, 1-0, 15-3, 16, 5-3, 0-2, 5-5, 9, 4-1, 2-1, 9-6, 5, 4-1, 0-3, 5-6, 3, 5-0, 1-4, 2-16, 1.

6 ივნისს ბუდაპეშტში რას წარმოადგენენ „დიდი გუნდის“ მემკვიდრეები?

40-იანი წლების მიწურულში და 50-იანი წლების პირველ ნახევარში უნგრეთის „დიდი გუნდი“ მსოფლიოში ერთერთი უძლიერესი იყო, თუ ვერაზე ძლიერი არა. მისი რეპუტაცია ვერ შეარყია მარცხმა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატის ფინალში დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან, რომელიც ყოველ შემთხვევაში, არაფრით აღემატებოდა „ჩარდაშის ოსტატებს“.

მელიც მანამდე მარცხს მარცხზე განიცდიდა თუ უნგრელების ნაკრებში რაღაც დადებითი თვისობრივი ცვლილებები მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ასე კარგად „დიდი გუნდის“ მემკვიდრეებს, ერთი ჟურნალისტის თავისებური, მეტად კატეგორიული შეფასებით, მთელი ათი წელია არ უთამაშობთ. უნგრელები მეტად საბრძოლოდ იყვნენ შემართული და თუმცა მატჩის მსვლელობაში ორჯერ აგებდნენ, ფარსხალი არ დაუყრიათ და საბოლოოდ - ფე - 2-2 კანონზომიერი შედეგი იყო. პრესამ აღნიშნა კაროი კარაის (ბერლინის „პერტას“ მექარე) და კრისტიან ლისტეშის („შტუტგარტის“ თავდასხმელი) კარგი თამაში, ორივე გოლის ავტორი კი ფერენც ხორვატი გახდა. უნგრელმა გულშემატკივრებმა პირდაპირ ამოისუნთქეს ამდენი ხნის უნუგუშო თამაშების შემდეგ.

მეორე მატჩი უნგრელებმა სტუმრად ჩაატარეს 11 ოქტომბერს ვიენის უსში. შეხვედრას სულ 2000 მაყურებელი ესწრებოდა, რაც იოლად ასახსნელი იყო - ლიტველებმა ხომ მანამდე ორი მატჩი წააგეს: რუმინელებსა და ქართველებთან. უნგრელების შემადგენლობა, გასაგებია, დიდად არ შეცვლილა: კირაი, კორშოში (ბოდნარი, 84), ჩ. ფეხერი (იუპარი, 78), მატჩუში (დომბი, 73), შებეკი, პეტო, მ. ფეხერი, ლისტეშ, ფ. ხორვატი, ილეში, პამარი.

ის, რომ ლიტვის ნაკრები ამ მონეტისათვის სუსტად თამაშობდა (გასულ წლებთან განსხვავებით), ეს გასაგები იყო, მაგრამ 1-6-ით წაგება საკუთარ მინდორზე? სტატისტიკოსებმა ისიც გაიხსენეს, რომ 5 ბურთის განსხვავებით უნგრელებს თურმე აღარ მოუგია... 1982 წლიდან, როცა მათ ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში (მაშინ უნგრელებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ

ანდრაშ ტოროთიჩი და ტიბორ ნილაში) ანგარიშით 10-1 მოუგო საღვადორის ნაკრებს.

ანგარიში 24-ე წუთზე ილეშმა გახსნა. დაიწყო და დაიწყო: 36-ე წუთი - მ. ფეხერი - 2-0, 63-ე წუთი - მ. ფეხერი - 3-0, 66-ე წუთი - ფ. ხორვატი - 4-0, 71-ე წუთი - ბუიტკუსი - 1-4, 72-ე წუთი - მ. ფეხერი - 5-1, 84-ე წუთი - ლისტეში (პენალტით) - 6-1.

ამას მხოლოდ ის უნდა დაგუმატოთ, რომ პეთორიკის ავტორი მიკლოში ფეხერი თამაშობს პორტუგალიურ „ბრაგანში“, ხოლო ორესტის ბუიტკური, რომელმაც გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი - რიგის „სკონტოში“.

ორი მატჩის შემდეგ თითქოს ვეველაფერი კარგად იყო, მაგრამ მესამეში უნგრელებს „ცივი წყალი“ ისევ იმავე ლიტველებმა დაასხეს.

24 მატჩს ბუდაპეშტში უნგრელები და ლიტველები საპასუხო მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. მას 20 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. უნგრელების შემადგენლობა ასეთი იყო: კირაი, კორშოში, შებოკი, იუპარი, ჩ. ფეხერი, მირიუცი, დარდაი, ილეში, პამარი (ეგრეში, 46), ფ. ხორვატი, მ. ფეხერი (დომბი, 64). წინა შეხვედრებთან შედარებით, უნგრელების შემადგენლობაში მოხდა გარკვეული ცვლილებები - გამოჩნდა სამი ახალი მოთამაშე.

მიმომხილველთა აზრით, უნგრელებმა, წინა შეხვედრის შედეგიდან გამომდინარე, ჯეროვნად არ შეაფასეს მეტოქე. მათ თამაშში სათანადო მონდობება არ ჩანდა. პირველ ტა-

ში ვასილ მირიუციმ საჯარიმო დარტყმით ხიფათი შეუქმნა სტუმრების კარს, მაგრამ ცნობილმა გოლიკიპერმა გინტარას სტაუტემ იხსნა თავისიანები. 70-ე წუთზე შებოკმა 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში, მაგრამ სულ 4 წუთის შემდეგ თომას რაუნანუსკასმა გაათანაბრა მდგომარეობა - 1-1. ამ ფრემ განსაკუთრებით გაახარა რუმინელები, უნგრელებთან ერთად მეორე ადგილის პრეტენდენტები.

და აი 2 ივნისს ბუქარესტში სწორედ რუმინელები და უნგრელები შეხვდნენ ერთმანეთს. ანგარიშით 2-0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ამასთან, ორივე გოლის ავტორი ნიკოლაუ გახდა. უნგრელების შემადგენლობა: კირაი, დ. კორსოში, ჩ. ფეხერი, მატჩუში, შებეკი, პეტო, სოფუნბი (კაბატე, 73), დარდაი, ხორვატი (ა. კორსოში) ლისტეში, პამარი (დომბი, 41).

მატჩს 22 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში

● საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატის 12 შესარჩევ შეხვედრაში, აქედან 4 მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და 7 წააგო, ბურთების სხვაობაა 12-15. საკუთარ მოედანზე ჩაატარა 6 მატჩი: 2 მოგება, 1 ფრე და 3 წაგება, ბურთები 6-6. ● სულ საქართველოს ნაკრებმა გაიტანა 12 ბურთი, რომელიც მოდის შემდეგ ფეხბურთელებზე: თემურ ქეცბაია - 4; შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, არჩილ არველაძე - 2-2; კახი ცხადაძე და გოვა გაბოკიძე - თითო. ● გაშვებული 15 ბურთი მოდის შემდეგ მეკარეებზე: ირაკლი ზოიძე - 11 და დავით გვარამაძე - 4. ● აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩატარებულ 3 შეხვედრაში, ნაკრების კარის დარაჯმა ნიკა ტოგონიძემ სა-

მივეში თავისი კარი „მშრალად“ შეინახა. ● გატანილი 12 გოლიდან, პირველ ნახევარში გატანილია 5 ბურთი (რაც შეადგენს გატანილი გოლების 41,6%), მეორეში კი 7. (58,4%). ● გაშვებული 15 გოლიდან, პირველ ნახევარშია - 7 ბურთი (რაც შეადგენს 46,6%), ხოლო მეორეში - 8 (53,4%). ● სულ საქართველოს ნაკრების მატჩებს დაესწრო 327208 მაყურებელი, საშუალოდ ერთ მატჩში 27267. აქედან საკუთარ მოედანზე (თბილისსა და ბათუმში) 198 000 (საშუალოდ 33000), ხოლო სტუმრად 129 208 (საშუალოდ 21 534). ● შესარჩევ მატჩებში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო შეხვედრას ინგლისში - 71 208.





მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ავროპა

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Russia, Switzerland, etc.

II ჯგუფი


Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Ireland, Estonia, etc.

III ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Denmark, Czech Republic, etc.

სამხრეთ ამერიკა

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Peru, Paraguay, etc.



არგენტინა - კოლუმბია



Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Iceland, Bulgaria, etc.

IV ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Switzerland, Slovakia, etc.

V ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Ukraine, Poland, etc.

VI ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Belgium, Latvia, etc.

VII ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Spain, Bosnia, etc.



პერუ - ეკვადორი



დასავლეთი ევროპა

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Lithuania, Latvia, etc.

VIII ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Romania, Hungary, etc.

IX ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Slovenia, Albania, etc.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა

აზია

გამართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა...

A ჯგუფი

საუდის არაბეთი, ბანგლადეში, ერაყი, ტაილანდი, ირანი

B ჯგუფი

ემირატები, უზბეკეთი, უაღარი, ომანი, ჩინეთი

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Russia, Switzerland, etc.

II ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Ireland, Estonia, etc.

III ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Denmark, Czech Republic, etc.

IV ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Belgium, Latvia, etc.

V ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Ukraine, Poland, etc.

VI ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Spain, Bosnia, etc.

VII ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Slovenia, Albania, etc.

IX ჯგუფი

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals, Points. Includes teams like Slovenia, Albania, etc.

თელი იქნა გაძევებული, აქედან 3 საქართველოს ნაკრებიდან...

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



